

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერი

თბილისი, საქართველო
3 სექტემბერი 2019 წელი



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	2
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	13-18
1. შესავალი	7
2. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	7
3. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდები	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა	12
5. ძირითადი საშუალებები	13
6. მოკლევადიანი მოთხოვნები	13
7. ფული და ფულადი ექვივალენტები	13
8. მოკლევადიანი ვალდებულებები	14
9. შემოსავალი საგანმანათლებლო და სტომატოლოგიური საქმიანობიდან	14
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
11. მოგების გადასახადი	15
12. დაკავშირებული მხარეები	16
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები	16



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	4	8,344,321	8,063,046
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,344,321	8,063,046
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები		1,824	3,004
მოკლევადიანი მოთხოვნები	5	399,796	326,138
მარაგები		140,066	166,230
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	5,573,429	6,384,211
სულ მიმდინარე აქტივები		6,115,115	6,879,583
სულ აქტივები		14,459,436	14,942,629
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	7	(440,023)	(146,801)
საგადასახადო ვალდებულებები		(64,072)	(51,160)
გადასახდელი ხელფასები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(504,095)	(197,960)
სულ ვალდებულებები		(504,095)	(197,960)
კაპიტალი			
საემისიო კაპიტალი		(7,500,000)	(7,500,000)
საწესდებო კაპიტალი		(1,300)	(1,300)
რეზერვები და დაფინანსება		(1,978,867)	(1,916,806)
გაუნაწილებელი მოგება		(4,475,174)	(5,326,562)
სულ კაპიტალი		(13,955,341)	(14,744,668)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		(14,459,436)	(14,942,629)

რექტორი: /თეიმურაზ ქორიძე/
მთ. ბუღალტერი: /ქეთევან ახვლედიანი/

თეიმურაზ ქორიძე



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	3,300,726
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	9	(2,082,738)
ცვთის ხარჯი		(377,179)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		840,809
კურსთა შორის სხვაობა		84,273
საპროცენტო ხარჯი		-
ფინანსური ხარჯი		(84,273)
საპროცენტო შემოსავალი		340,796
ფინანსური შემოსავალი		
შედეგი ფინანსური საქმიანობიდან		425,070
სხვა შემოსავალი		341,144
სხვა ხარჯები		(60,236)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,546,787
მოგების გადასახადი		-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		1,546,787

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერი

	საემისიო კაპიტალი	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	რეზერვები და დაფინანსება	სულ
1 იანვარი, 2018	7,501,300	4,475,174	1,978,867	13,955,341
მოგება წლის განმავლობაში	-	1,546,787	0	1,546,787
კაპიტალის შემცირება (მ.შ. დივიდენდი)	-	-695,399	-64,956	-727,506
31 დეკემბერი, 2018	7,501,300	5,326,562	1,913,911	14,774,622

რექტორი: /თეიმურაზ ქორიძე/
მთ. ბუღალტერი: /ქეთევან ახვლედიანი/

ქ. ახვლედიანი



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერი

შემოსავალი	
შემოსავალი სტომატოლოგიური კლინიკიდან	91631
შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან	3122639
მიღებული ავანსები	146801
სულ	3361070
პროდუქციის/მომსახურების შესყიდვა	
შესყიდვები - საქონლის ღირებულება	68860
სახელფასო ხარჯები	1282697
საწვავი	29800
საბიუჯეტო გადასახადები	428000
გადახდილი ავანსები	1180
სხვა საოპერაციო ხარჯები	462470
სულ	2273008
საოპერაციო შემოსავალი	1088062
არასაოპერაციო შემოსავალი	
არასაოპერაციო შემოსავალი	25720
არასაოპერაციო ხარჯი	88662
ფულადი ნაკადები ინვესტიციებიდან	
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	38120
მთლიანი შემოსავალი ინვესტიციებიდან	(38120)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	
კაპიტალის ზრდა/შემცირება	601288
საპროცენტო შემოსავალი	340796
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	314919
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	230646
მთლიანი შემოსავალი ფინანსური საქმიანობიდან	(176218)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	5573429
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	6384211

რექტორი: /თეიმურაზ ქორიძე/
 მთ. ბუღალტერი: /ქეთევან ახვლედიანი/

ქ. ახვლედიანი



1. შესავალი

ჯგუფი და მისი ოპერაციები

„საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“ შემდგომში „სდასუ“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რეგისტრირებულია ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ 1996 წლის 20 აგვისტოს, რეგისტრაციის ნომერია 5/4-718, , საზოგადოების 100 პროცენტიანი წილის მესაკუთრე და ხელმძღვანელია თეიმურაზ ქორიძე (პ/ნ 01024004107).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება.

საზოგადოების იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი ადგილია ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი 25

2. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ვალუტა მეტად გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

2018 წლის 31

დეკემბერი

1 დოლარი (\$) / ლარი (G)

2.6766

1 ევრო (\$) / ლარი (G)

3.0701

3. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე



უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ხელმძღვანელობამ გაანალიზა ახლანდელი მაკროეკონომიკური გარემო საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

საოპერაციო ხარჯები წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შესყიდვებთან, გამოშვებასთან ან ფინანსური ინსტრუმენტების გაყიდვასთან. დამატებითი ხარჯი არ წარმოიქმნება იმ შემთხვევაში თუ გარიგება არ მომხდარა. დამატებითი ხარჯი მოიცავს საფასურსა და საკომისიოს რომელიც არის გადახდილი აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვების აგენტებს) მრჩეველებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის, შეიცავს მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების, და გადაცემის გადასახადებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს ფასდათმობას, დაფინანსების ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ან სხვა ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივები ნებისმიერი ჩამოწერის და გაუფასურების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს ამორტიზაციას გადავადებულ ოპერაციის ღირებულების თავდაპირველი აღიარებისას და ნებისმიერი პრემიის ან დისკონტის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის გადავადებული გადასახადი წარმომობის, ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შედის საბალანსო ღირებულებაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივებს აქვს შემდეგი კატეგორიები: (ა) დებიტორული მოთხოვნები; (ბ) წინასწარ გაწეული ხარჯები

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება.

ფინანსური ვალდებულებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სავაჭრო ვალდებულებები, (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით რომელშიც გათვალისწინებულია ოპერაციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შეძენას ან ფინანსური აქტივის ფინანსური ვალდებულება გამოშვებას. რეალური ღირებულების თავდაპირველი აღიარებისთვის საუკეტესო საშუალებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აისახება მხოლოდ მაშინ როდესაც გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმებას როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია აქტივებიდან მისაღები ფულადი ნაკადების მოთხოვნა აღარ არსებობს (ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე მოთხოვნა მაშინ, როდესაც (i) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკებს და სხვა სარგებელს რომელიც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივთან ან (ii) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ყველა რისკს და სარგებელს დაკავშირებულს გადაცემულ აქტივთან და არც ინარჩუნებს მასზე კონტროლს.



ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის იმ ეკონომიკური გარემოს პირველადი ვალუტა, რომელშიც კომპანია ოპერირებს. კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარი (ლარი).

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება კომპანიის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები.

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება როგორც სალარო, ასევე საბანკო ანგარიშებზე გათავსებული ნაშთებისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხება მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის საღრიცხო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშევა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხება დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით, რომელიც გაიანგარიშება გრძელვადიანი აქტივების ჯგუფების მიხედვით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.



სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება ფინანსური აქტივები, გარდა იმ აქტივებისა, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხდება გაუფასურების საჭიროებს შეფასება სანგარიშგებო პერიოდისთვის. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური აზრი ერთი ან რამოდენიმე შემთხვევის აღმოჩენისას, რომელსაც აქვს გავლენა ინვესტიციის მომავალ ფულად ნაკადებზე. ფინანსური აქტივებისთვის წარმოდგენილი ამორტიზირებული ღირებულებით, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას მომხდარ შემთხვევასთან, წარმოშობილი გაუფასურების აღიარების შემდეგ წინამდებარე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგება ზარალის გამოყენებით იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების შებრუნების თარიღისათვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

უიმედო აქტივების ჩამოწერისას საამორტიზაციო და ზარალის რეზერვის შემდეგ ყველა აუცილებელი პროცედურა, აქტივის აღსადგენად უკვე დასრულებულია და ზარალის ოდენობა განსაზღვრული. შემდგომი ამოღება ჩამოწერილი თანხების დაკრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე და ამ ფარგლებში განისაზღვრება მოგება ან ზარალი.



4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანია მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობით აქტივებზე და ვალდებულებებზე სამომავლოდ. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ მოვლენებს, რომლებიც სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.



ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერიალ ური აქტივები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
დეკემბერი 31, 2017	7,739,106	562,375	321,486	-	-	8,622,967
მატება	-	50,183	45,721	-	-	95,904
კლება	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2018	7,739,106	612,558	367,207	-	-	8,718,871
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>						
დეკემბერი 31, 2017	-	167,742	110,904	-	-	278,646
მიმდინარე წლის ცვეთა	236,955	88,963	51,261	-	-	377,179
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2018	236,955	256,705	162,165	-	-	655,825
<i>ნარჩენი ღირებულება</i>						
დეკემბერი 31, 2017	7,739,106	394,633	210,582	-	-	8,404,083
დეკემბერი 31, 2018	7,502,151	355,853	205,042	-	-	8,063,046

6. მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018
მოთხოვნები		
მომსახურებიდან	399,796	326,138
სულ	399,796	326,138

7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018
ნაღდი ფული სალაროში	3,315	5,118
ფული საბანკო ანგარიშებზე	5,570,114	6,379,093
სულ	5,573,429	6,384,211

ფულადი სახსრების ნაშთები საბანკო ანგარიშებზე შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც რისკის არმქონე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბანკებში, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები საიმედოა ქართული საკრედიტო დაწესებულებებია.



8. მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018
მიღებული ავანსები	440023	146,801
შრომის ანაზღაურება	0	0
სულ	440,023	146,801

9. შემოსავალი საგანმანათლებლო და სტომატოლოგიური საქმიანობიდან

	31 დეკემბერი, 2018
შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან	3,184,575
საიჯარო შემოსავალი	7,900
შემოსავალი სტომატოლოგიური საქმიანობიდან	108,251
სულ	3,300,726

კომპანიის შემოსავლებიდან აღსანიშნავია სტომატოლოგიური საქმიანობა, რომელიც გარკვეული შემთხვევების გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან. აუდიტის მსვლელობისას არ გამოვლენილა იმის ვალდებულება, რომ კომპანია დარეგისტრირებულიყო დღს-ის გადამხდელად.

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2018
ადმინისტრაციის ხელფასი	(920,404)
პირდაპირი ხელფასი	(701,199)
რეკლამის ხარჯი	(6,080)
ავტორიზაცია	(54,169)
საწვავი	(23,625)
ქონების გადასახადი	(46,664)
წვრილმანი ინვენტარი	(73,463)
კომუნიკაცია და კომუნალურები	(107,997)
რემონტი	(21,551)
საიჯარო ქირა	(75,070)
საკონსულტაციო ხარჯი	(11,511)
კომპიუტერის ხარჯები	(4,399)
სხვა საერთო ხარჯი	(36,605)
სულ	2,082,738



ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიაში ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკი, საპროცენტო რისკის რისკი და სხვა რისკი), საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია ფინანსური რისკების ზღვრების დადგენა და იმის უზრუნველყოფა რომ ის არ გასცდება ამ ზღვრებს. ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მინიმიზაციის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტარქორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

	31 დეკემბერი, 2018
სავაჭრო მოთხოვნები	326,138
ფული და ფულის ექვივალენტები	6,384,211
	6,710,349

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს შეასრულოს თავისი ვალდებულებები.

ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს აწარმოოს ლიკვიდურობის გონივრული მართვის პოლიტიკა შესაბამისი პროცედურების ჩატარების საშუალებით: რომელიც მოიცავს შესაბამისი რაოდენობის ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთების ქონას, ასევე მაღალ ლიკვიდური აქტივების მიღებას რომელსაც მოყვება ყველა საოპერაციო და გადასახდელი ვალდებულებასთან დაკავშირებული სერვისები.



11. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარე არის მენეჯმენტი

საანგარიშო წლის განმავლობაში ჯგუფს ჰქონდა შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	31 დეკემბერი, 2018
მენეჯმენტზე გაცემული ანაზღაურება	920,404
გაცემული დივიდენდები	635,982

12. სხვა შემოსავალი

	31 დეკემბერი, 2018
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	341,144

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი შეადგენს სტუდენტების მიერ ავანსად გადახდილ თანხებს, რომელიც შემოსავლად აღიარდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

რექტორი:

მთ. ბუღალტერი:

/თეიმურაზ ქორიძე/

/ქეთევან ახვლედიანი/

